პროექტის სათაური: **„ზემო იმერეთის და გურიის რეგიონის განვითარების პერსპექტივები“.**

პროექტის იდეა: საქართველოს განვითარების პერსპექტივების ძიება ორი რეგიონის მაგალითზე.

პროექტის აქტუალობა და მიზნები: პროექტი წარმოადგენს 2021 წელს განხორციელებული პროექტის „ხელთუქმნელი სილამაზის კვალდაკვალ“ გაგრძელებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ეკონომიკური წინსვლის საშუალებად ბუნებრივი რესურსების პარალელურად განიხილება ანთროპოგენური ლანდშაფტები ქვეყნის მასშტაბით.

მონაწილეთა ასაკი/კლასები: კლასები: მე-11 და მე-12 ასაკი: 17-18 წლის.

ვადები/ხანგრძლივობა: 2022 წლის ივნისიდან ნოემბრამდე.

პროექტის ამოცანები: შეირჩევა ობიექტები, რომელთა დეტალური შესწავლა მოხდება, როგორც საინფორმაციო საშუალებებით, ისე ადგილზე მისვლით. მსოფლიოში არსებული პანდემიიდან და შესაბამისად ექსკურსიის 150კმ-იანი რადიუსის შესაძლებლობიდან გამომდინარე მოხდება ზემო იმერეთსა და გურიაში გამგზავრება. (ზაფხულში და შემოდგომაზე). ექსკურსიების შემდეგ მოსწავლეები განახორციელებენ უკუკავშირს, SWOT ანალიზის სახით და წარმოადგენენ მოსწავლისეულ ხედვას რეგიონის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით.

პროექტის განსახორციელებლად საჭირო რესურსები: კომპიუტერი, პროექტორი, ფოტო აპარატი, ავტობუსი ექსკურსიისთვის, რვეული და კალამი.

პროექტის მსვლელობა: პროექტის ფარგლებში დაიგეგმება ექსკურსიის მარშრუტი, სადაც ჯგუფი გაემგზავრება ზემო იმერეთში ივნისში, ხოლო გურიაში ნოემბერში. შერჩეული ობიექტების დათვალიერებისა და მათ შესახებ ინფორმაციის მოპოვების ფონზე განხორციელდება საკითხის გაანალიზება და მოსწავლისეული ხედვების პრეზენტაცია.

პროექტის შედეგები: კადეტებს განუვითარდათ პრეზენტაციის, კვლევითი, თანამშრომლობითი, ანალიტიკური მაღალი სააზროვნო უნარები და რაც მთავარია მათ წარმოადგინეს მოსწავლისეული ხედვა საქართველოს ეკონომიკური განვითერების მოსწავლისეული ხედვის შესახებ.